



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № _ 117 _

“ _ 19 _ ” დეკემბერი 2025 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა №10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.16.05.012.093; №01.16.05.012.092; №01.16.05.012.028; №01.16.05.012.029) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 27 ნოემბრის №25.1999.2242 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა №10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.16.05.012.093; №01.16.05.012.092; №01.16.05.012.028; №01.16.05.012.029) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01253162114-67 (№01253173472-67; №01253282097-67; №01253302358-67; №01253303375-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მცსამართაი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 25.1999.2242
27 / ნოემბერი / 2025 წ.

ქალაქ თბილისში, დოღო აბაშიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, დოღო აბაშიძის ქუჩა N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.16.05.012.093; N01.16.05.012.092; N01.16.05.012.028; N01.16.05.012.029) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 12 ნოემბრის N01253162114-67 (N01253173472-67; N01253282097-67; N01253302358-67; N01253303375-67) განცხადებით მიმართა მარიამ დოლიძემ (პ/ნ 01008051884) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, დოღო აბაშიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, დოღო აბაშიძის ქუჩა N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.16.05.012.093; N01.16.05.012.092; N01.16.05.012.028; N01.16.05.012.029) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დოღო აბაშიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, დოღო აბაშიძის ქუჩა N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.16.05.012.093; N01.16.05.012.092; N01.16.05.012.028; N01.16.05.012.029). არეალის ჯამური ფართობი: 11 893 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და მცირედზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

საპროექტო ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 სექტემბრის N424 განკარგულებით.

ტერიტორიის განვითარება იგეგმება უმეტესად საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ით, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განთავსების მიზნით. ამასთან, უცვლელი რჩება საპროექტო არეალის ნაწილზე (სახელმწიფოს მიერ განკარგულ ტერიტორიაზე N01.16.05.012.093; N01.16.05.012.092) გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), რომლებიც იქნება სამშენებლოდ შეზღუდული არეალი.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის



მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გეგმით, N01.16.05.012.028; N01.16.05.012.029 საკადასტრო ერთეულებზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), შესაბამისად, საპროექტო გადაწყვეტით ხდება ფუნქციური ზონის დაბრუნება და აღნიშნული ცვლილება არ ექვემდებარება მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, ფასთაშორისი სხვაობის დადგენას.

საპროექტო ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით განთავსებულია შენობა-ნაგებობები, მათგან ორი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლს. ასევე, ვრცელდება ისტორიული ნაწილის დამცავი ზონები (ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონა; ისტ-2).

საპროექტო გადაწყვეტით, შენარჩუნებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (შენობა N3; N4), რომლებიც დაიტვირთება კომერციული ფუნქციით.

განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო წინადადება განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N42; 13.11.2025), რომლის საფუძველზეც, ქ.თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა N10-ში და N10-ის მიმდებარედ, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: (N01.16.05.012.093; N01.16.05.012.092; N01.16.05.012.028; N01.16.05.012.029) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხის მიეცა დადებითი შეფასება, წარმოდგენილი ესკიზის შეთანხმების გარეშე, არქიტექტურის დახვეწის პირობით.

სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საპროექტო ტერიტორიის ფართობი - 11 893 კვ.მ;

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) - 11 606 კვ.მ.

კ1 = 0,5

კ2 = 2.1

კ3 = 0,3

შენობების რაოდენობა - 4

N1- შენობა- კომერციული ფუნქცია - სართულიანობა - 8 / მაქს. სიმაღლე - 29.25 მ

N2 - შენობა- მრავალბინიანი საცხოვრებელი- სართულიანობა - 9 / - მაქს. სიმაღლე 33 მ

N3- N4 - არსებული შენობები (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები) - კომერციული ფუნქციით

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 74 კვ.მ.

სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) - 213. კვ.მ.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული

ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუწეონიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2025 წლის 27 ნოემბრის N0125331325 წერილის შესაბამისად, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 26 ნოემბრის N01253303312 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, დოღო აბაშიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, დოღო აბაშიძის ქუჩა N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.16.05.012.093; N01.16.05.012.092; N01.16.05.012.028; N01.16.05.012.029) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01253162114-67 (N01253173472-67; N01253282097-67; N01253302358-67; N01253303375-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, დოღო აბაშიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, დოღო აბაშიძის ქუჩა N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.16.05.012.093; N01.16.05.012.092; N01.16.05.012.028; N01.16.05.012.029) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონება ხდება წარმოდგენილი ესკიზის შეთანხმების გარეშე, არქიტექტურის დახვეწის პირობით.

3.წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) გიორგი ტყემალაძეს.

5.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი ქუჩა 64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01253303312
თარიღი: 26/11/2025

2025 წლის 26 ნოემბრის N 01253302358-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, დოღო აბაშიძის ქუჩა, N10-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.16.05.012.093; 01.16.05.012.092; 01.16.05.012.028; 01.16.05.012.029) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2025 წლის 15 სექტემბრის N 01252584087-67 განცხადების პასუხად N 0125259404 წერილით.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ დაგეგმილი პროექტი არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

წარმოდგენილია, შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, თანხმობის წერილებთან ერთად შესაბამის ველში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიკური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 0125331325
თარიღი: 27/11/2025

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 26 ნოემბრის №01253303375-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა, №10-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ.:01.16.05.012.093; 01.16.05.012.092; 01.16.05.012.028; 01.16.05.012.029 ფუნქციური ზონა: სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) საპროექტო ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); რზ-2 და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **14 ძირი** (№2; №4; №30; №33; №34; №53; №97-102; №108; №114;) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს წერილობით ნებართვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრა ან/და გადარგვას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და მათი დიამეტრი არ აღემატება 12 სმ-ს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის **ზეხმელი/ხმობადი/ავარიული** ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **87 ძირი** (№1; №5; №10; №55; №74; №3; №7-9; №18-29; №31; №32; №36-40; №42; №48; №49; №54; №56; №58-71; №6; №43; №35; №41; №44-47; №57; №73; №93-94, №103, №105, №111, №115, №125; №92; №123; №95; №106; №107; №109; №110; №112; №113; №116-120; №124, №126; №127-131, №133; №132) ავარიული/ზეხმელი/ხმობადი მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნებში აღწერილი 1 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება **25 სანტიმეტრს** და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვისა და გახარების შესაძლებლობა (ს.კ.: 01.16.05.012.029 - №96) დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა **გადართვოს** ზემოაღნიშნული **1 ძირი** მწვანე ნარგავი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ასევე, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური

თანახმაა მოიჭრას პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი 5 ძირი (№72; №88-89; №104; №134) ჯანსაღი მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (არსებული/გადასარგავი 11 ძირი - მწვანე ნარგავი; საპროექტოდ დასარგავი: **სზ-6-ისთვის დასარგავი სახეობები**: მინდვრის ნეკერჩხალი - 30 ძირი; ჰიმალაის კედარი - 30 ძირი; ამერიკული ცაცხვი - 30 ძირი; იტალიური ფიჭვი - 30 ძირი; ამბრის ხე - 25 ძირი; **რზ-2-ისთვის დასარგავი სახეობები**: მინდვრის ნეკერჩხალი - 4 ძირი; ჰიმალაის კედარი - 3 ძირი; **ტზ-1-ისთვის დასარგავი სახეობა**: ამბრის ხე - 1 ძირი; **ჯამი = 164**) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (**ტზ-1 - კ-3 = 0.1 = 7.4კვ.მ; რზ-2 - კ-3 = 0.8 = 170.4კვ.მ; სზ-6 - კ-3 = 0.3 = 3481.8კვ.მ**).


იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 12 აგვისტოს №25.1358.534 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეიტანოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწეობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.**

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





თბილისის არქიტექტურა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება

დოკუმენტი №7702362

განაცხადი №AR11117272

თარიღი : 13.11.2025



განმცხადებელი: ეკა მზეიძე პ/ნ: 01009007031

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. აბაშიძე , N 10; ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. აბაშიძე , N 10; ქალაქი თბილისი, დოდო აბაშიძის ქუჩა, N10-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დოდო აბაშიძის ქუჩა, N10-ის მიმდებარედ;

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- ადმინისტრაციული საკითხები

კომისიის წევრი: უარყოფა

• -

კომისიის წევრი: უარყოფა

• სასურველია ტერიტორიაზე ახალი მოცულობები ისე განათავსოთ, რომ მოხდეს ახლისა და ძველის მეტი კონტაქტი. არ იყოს ისეთი განყენებული, როგორც არის. შეიკრას ერთიანი ანსამბლი.

კომისიის წევრი: თანხმობა

- ესკიზის შეთანხმების გარეშე.

კომისიის წევრი: თანხმობა

• -

კომისიის წევრი: თანხმობა

- არქიტექტურის დახვეწის პირობით.

კომისიის წევრი: უარყოფა

• -

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

"თბილისის არქიტექტურის სამსახური"

საქართველო, თბილისი 0160 ქ. პარბაჰს 7

ტელ. |+995 32| 272 22 22

ფაქს. |+995 32| 237 82 24

Info@tas.ge

უფრო მეტი - tas.ge

კომისიის წევრი: თანხმობა

• -

განაცხადზე კომისიის/საბჭოს შეფასება "დადებითი"
კომისიის/საბჭოს ჩატარების თარიღი: 13.11.2025

კომისიის/საბჭოს დასკვნა - რეკომენდაცია:

ოქმი N42

მიეცეს დადებითი შეფასება ქ. თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა N10-ში და N10-ის მიმდებარედ, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: (N01.16.05.012.093; 01.16.05.012.092; 01.16.05.012.028; 01.16.05.012.029) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს ესკიზის შეთანხმების გარეშე, არქიტექტურის დახვეწის პირობით.

[illegible]

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიმბოლო

29

ფორმის/კატეგორიის

01/11/2000

გეგმის სახელი

საკრებულოს ტერიტორია

არსებული გამგზავნი

კულტურული მემკვიდრეობის

უძრავი ძეგლები

ისტორიული განმარტების

ჩვენებები (სივ. 11-12)

ისტორიული ნაქონის დამკვეთი

ზონა

დამკვეთი

მპს "გეოსივლიტი"

პროექტის აღმასრულებელი და მფლობელი

ქ. თბილისი, დიდი აბაშიძის ქუჩა, N10-ის მფლობელი

N1/01/16/05/012/093; 01/16/05/012/092;

N1/01/16/05/012/093; 01/16/05/012/092;

01/16/05/012/093; 01/16/05/012/092

ნაქონის განმარტების რეგულაციის

პეგმა

ნაქონის დამატება

N1/16/05/012/093; 01/16/05/012/092;

ნაქონის დამატება


ნაქონის დამატება


ნაქონის დამატება

ნაქონის დამატება

ნაქონის დამატება

ნაქონის დამატება





[illegible]

The figure consists of three main parts:

- Site Plan (Top):** A detailed architectural drawing showing the layout of a residential complex. It includes several rectangular building footprints labeled "ბინა #1" through "ბინა #4". The buildings are arranged around a central courtyard area. The plan shows various rooms, corridors, and outdoor spaces. Dimensions and elevations are noted throughout the plan.
- Cross-Section 1-1 (Bottom Left):** A vertical section through one of the buildings, showing the internal floor levels, room heights, and structural elements. It includes dimensions for room sizes and overall building height.
- Cross-Section 2-2 (Bottom Right):** Another vertical section, likely through a different part of the complex or a different building type, showing similar internal details and dimensions.

The drawings are executed in black lines on a white background, with some areas shaded to indicate different materials or structures. The text is in Georgian, providing specific details about the project.

[illegible]